



შუალედური ანგარიში - საქართველოს ციფრული საეთერო  
მაუწყებლობაზე მიგრაციის პროცესი - არსებული მიღწევები და  
პრობლემები

(2014 წლის მაისი-სექტემბერი)

ავტორი: უჩა სეთური

წინამდებარე კვლევა მომზადდა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI)- ის მიერ პროექტის „ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოების“ პოზიციას. წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ საავტორო უფლებები.

დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით IDFI-ის ნებართვის გარეშე.

## შინაარსი

1. შესავალი.....	3
2. არსებული მდგომარეობის ანალიზი .....	3
3.საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიპლექს პლატფორმის ინსტალატორი კომპანიის შესარჩევი კონკურსი .....	9
3.1 შესყიდვის მეთოდოლოგიის შეფასება.....	10
3.2 შერჩეულ კანდიდატთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობების შეფასება .....	12
4. ეროვნული დაფარვის კომერციული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის კონკურსი .....	15
5. სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" აქტივობები და არსებული პრობლემები .....	16
5.1 მოსახლეობის ინფორმირებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა.....	17
5.2 ეროვნული დაფარვის კომერციული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის კონკურსი.....	17
5.3 სეთ-ტოპ-ბოქსების შესარჩევი კონკურსის შედეგები .....	18
6. ეროვნული დაფარვის კომერციული მულტიპლექს პლატფორმის აგების მდგომარეობა .....	19
7. რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების მდგომარეობა.....	21
8. დასკვნა და ორგანიზაციის რეკომენდაციები .....	24

## 1. შესავალი

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 7 თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარდგენილი ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები დაამტკიცა. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბოლოო სტრატეგიის შემუშავებამდე პროცესში ჩართულმა მხარეებმა 14 თვიანი სამუშაო პერიოდი განვლეს. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აქტიურობამ, კერძოდ IDFI-ის და მისი პარტნიორი ორგანიზაციის GARB-ის ერთობლივი მუშაობის შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მთლიანად შეცვალა 2013 წლის მარტში წარმოდგენილი სტრატეგია. აქტიურად გაგრძელდა კონსულტაციები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად, 7 თებერვალს თვისობრივად ახალი სტრატეგია იქნა წარდგენილი, რომელიც მთავრობამ დამტკიცა.

საქართველოს ციფრულ საეთერო პლატფორმაზე გადასვლა, სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გამო, მაქსიმალურად მცირე დროში უნდა განხორციელდეს. სწორედ დროის სიმცირე არის ამ პროცესის უმთავრესი გამოწვევა. ახალ სამაუწყებლო პლატფორმაზე გადასვლის გრაფიკი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით, მოითხოვდა ზუსტ შესრულებას და მაქსიმალურად გაწერილი დროის შუალედის დაცვას. მიმდინარე პროცესში ჩართულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“, შპს „ტელერადიო ცენტრი“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

## 2. არსებული მდგომარეობის ანალიზი

ვფიქრობთ, რომ მიმდინარე პერიოდის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პრობლემური საკითხები, მათი უფრო თვალნათლივ წარმოჩენის მიზნით, უნდა დაიყოს შემდეგი მიმართულებით:

### ა) მიწოდების მხარე

- კომერციული მულტიპლექს პლატფორმის კონკურსანტის მიერ მისი ვალდებულებების შესრულების საკითხი და არსებული მდგომარეობა;

- საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელების კონკურსის მიმდინარეობა და არსებული გამოწვევები;
- ე.წ. რეგიონული დაშვების წერტილების მულტიპლექს პლატფორმის კონკურსი.

### **ბ) მომხმარებლის მხარე**

- Set-top-box-ების კონკურსის მიმდინარეობა და შერჩევის შედეგები;
- ბოლო მომხმარებლის ინფორმირების კუთხით განხორციელებული აქტივობები;
- სუბსიდირებისა და დისტრიბუციის საკითხები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ციფრული საეთერო ქსელის მშენებლობისთვის გამოცხადებული შესყიდვის პროცესი დაინტერესებული მხარეებისთვის დახურულად წარიმართა. საპირისპიროდ განვითარდა პროცესი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, სადაც როგორც საკონკურსო პირობების ჩამოყალიბების, ასევე წინადადებების წარდგენის და მისი შეფასების პროცესი ყველა ეტაპზე ღიად მიმდინარეობდა დაინტერესებული მხარეთათვის.

სახელმწიფოს სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში პასუხისმგებელი სუბიექტისთვის განსაზღვრული იყო კონკრეტული ვალდებულებები და გრაფიკი როდესაც ფაქტობრივი სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო.

ზედმეტია აქცენტების გაკეთება იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლას საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის, მედია გარემოსთვის, მაყურებლებისთვის და ბიზნეს სექტორისთვის, თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საეთერო ტელევიზიაზე დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობის სიდიდის გამო, ახალ ტექნოლოგიურ პლატფორმაზე გადასვლა, უაღრესად აქტუალურია.

ქსელის აგების დროისა და შესაბამისად ქვეყნის ქსელით დაფარვის ვალდებულებები განსხვავებულადაა განსაზღვრული კომერციული და საზოგადოებრივი მაუწყებლობის მულტიპლექს ოპერატორებისთვის, შესაბამისად ყოველგვარი შეფერხება და დაბრკოლება, კონკურენტი პლატფორმების მდგომარეობის ცვლილების გამო, საეთერო მაუწყებლობის ბიზნეს მოდელისთვის უფრო უარეს პირობებს ქმნის.

ის გარემოება, რომ სატელევიზიო კონტენტი საეთერო ქსელით ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ და მაღალი ხარისხით, ფასიანი სატელევიზიო სერვისების ჩანაცვლებადობის კუთხით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში მიმზიდველი იქნება, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ფასიანი თანამგზავრული და სადენიანი სატელევიზიო სერვისები შედარებით ძვირია, ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა კი დაბალშემოსავლიანია.

დღეს წარმოდგენილი საბაზისო, ე.წ. "მინიმალური პაკეტების" ფასები შემდგენაირადაა ჩამოყალიბებული:

კომპანია	ტექნოლოგია	პირველადი ხარჯები	საბაზისო პაკეტის ტარიფი (თვე)	არხების რაოდენობა	ხარისხი
კავკასუს ონლაინი <sup>1</sup>	IP TV (FTTP)	199 ლარი <sup>2</sup> (დეკოდერის ხარჯები)	9 ლარი	32	HD
სილქნეტი <sup>3</sup>	IP TV (FTTP, xDSL)	50-70 ლარი (დეკოდერის ინსტალაცია)	9 ლარი	41	SD/HD
მაგთისატი <sup>4</sup>	SAT	80 ლარი	10 ლარი	21	SD/HD
გლობალტივი <sup>5</sup>	SAT	--	5 ლარი	32	SD/HD

არანაკლებ მნიშვნელოვანია საეთერო ტელევიზიის ე.წ. მობილური მომავალი. მთელ მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოში, იზრდება ვიდეო კონტენტის გავრცელება 3.5G და შემდგომში 4G ქსელით. აღნიშნული კონტენტის მნიშვნელოვანი წილი,<sup>6</sup> მობილური ფართოზოლოვანი ქსელის გამოყენების და შესაბამისად

<sup>1</sup><http://co.ge/CaucasusTV.aspx>

<sup>2</sup>ოფციური ხარჯები

<sup>3</sup><http://tinyurl.com/lwmj5k3>

<sup>4</sup><http://www.magtisat.ge/index.php?page=packages>

<sup>5</sup><http://globaltv.ge/channel.php>

<sup>6</sup>[http://www.cisco.com/c/en/us/solutions/collateral/service-provider/ip-ngn-ip-next-generation-network/white\\_paper\\_c11-481360.html](http://www.cisco.com/c/en/us/solutions/collateral/service-provider/ip-ngn-ip-next-generation-network/white_paper_c11-481360.html)

მობილური ინტერნეტის მომსახურების საფასურის გადახდის გვერდის "ავლით" მოხდება. მობილური სატელევიზიო მომსახურების უფასოდ მიღების შესაძლებლობა ეთერის მეშვეობით და არა ფართოზოლოვანი უსადენო ინტერნეტის მეშვეობით საკმაოდ მიმზიდველი უნდა იყოს მომხმარებლისთვისაც. აღნიშნული ალტერნატივა გარკვეულ წილად განტვირთავს ფართოზოლოვან მობილურ ქსელს და ვფიქრობთ იგი სატელევიზიო კონტენტის მიღების ალტერნატიულ, კონკურენტ პლატფორმად ჩამოყალიბდება.

შემოსავლები, რომელსაც მობილური კომპანიები იღებენ ფართოზოლოვანი მონაცემთა გადაცემის მომსახურებიდან, დიდად განსხვავდება იმ თანხებისგან, რომელსაც იღებენ ღია საეთერო სატელევიზიო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები სარეკლამო ბაზრიდან.

პირველ შემთხვევაში, 2013 წლის მონაცემებით<sup>7</sup>, მობილური ინტერნეტ მომსახურების შემთხვევაში შეადგენს -18 მილიონ ლარს (მთლიანი შემოსავლის 4%),<sup>8</sup> ხოლო სარეკლამო ბაზრიდან ტელევიზიების მიერ მოზიდული ჯამური თანხა დაახლოებით -74 მილიონი ლარია.

ანალოგიური მონაცემები 2012 წლის პერიოდისთვის დიდ ბრიტანეთში შემდეგნაირია<sup>9</sup> - ფართოზოლოვანი მობილურის წილი-307 მილიარდი ფუნტი, სატელევიზიო რეკლამის შემოსავლები-80 მილიარდი ფუნტი. აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოს შემთხვევაში შეიცვლება 4G ფართოზოლოვანი მობილური მომსახურების დანერგვის შემდგომ, თუმცა საყურადღებოა, რომ ბრიტანეთის შემთხვევაში მობილური ქსელები იყენებენ ორჯერ მეტ სიხშირულ რესურსს, ვიდრე ციფრული საეთერო ქსელის ოპერატორები. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდგომ სიხშირული ბალანსი მობილურის სასარგებლოდ შეიცვლება, თუმცა, როგორც იქნება ფართოზოლოვანი ინტერნეტ

---

<sup>7</sup>[http://www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_280368\\_Annual%20Report%202013%20Final1.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_280368_Annual%20Report%202013%20Final1.pdf)


<sup>8</sup>შენიშვნა: ამ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხა უმნიშვნელოდ შემცირდება თუ მას მხოლოდ მობილური ფართოზოლოვანი მონაცემამდე დავიყვანთ.

<sup>9</sup>Robert Kenny, Robin Foster & Tim Suter, The value of Digital Terrestrial Television in an era of increasing demand for spectrum January 2014.

[http://www.digitaluk.co.uk/data/assets/pdf\\_file/0015/87000/The\\_Value\\_of\\_DTT\\_in\\_an\\_era\\_of\\_increasing\\_demand\\_for\\_spectrum\\_20-1-14.pdf](http://www.digitaluk.co.uk/data/assets/pdf_file/0015/87000/The_Value_of_DTT_in_an_era_of_increasing_demand_for_spectrum_20-1-14.pdf)

მომსახურების მოცულობის ზრდა ძნელად პროგნოზირებადია, სხვადასხვა ხელშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით.<sup>10</sup>

ევროპის ბაზრის მაგალითზე სატელევიზიო არხების რაოდენობა არ მცირდება. სატელევიზიო არხების რაოდენობა 2009 წელთან შედარებით 500 არხიდან 2000-ზე მეტ არხს შეადგენს 2013 წლის ოქტომბრის მონაცემებით.<sup>11</sup> შედარებით სწრაფი ზრდა დაფიქსირდა ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის თარიღისთვის ანუ 2012 წლისთვის, თუმცა არხების ზრდის ტენდენცია არ შეწყვეტილა.



მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა დაგვიანდა და კონკრეტული პრობლემები გამოკვეთილია, საქართველოს ბაზარზე სწორედ პლატფორმათაშორისი კონკურენციის და ახალი ტექნოლოგიური პლატფორმის გაშვების პერსპექტივების გამოკვეთით, შედარებით გააქტიურდნენ ფასიანი სატელევიზიო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები. ეს პროცესი უფრო აქტიური გახდება 2015-2017 წლებში. უდავოა რომ უფასოდ ტრანსლირებადი ციფრული საეთერო პლატფორმა სამაუწყებლო სფეროში კონკურენციის და მაღალი სამაუწყებლო სტანდარტების დამკვიდრებაში საქართველოში უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს.

<sup>10</sup>შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილია მობილური ფართოზოლოვანი ტრაფიკის მოცულობა, შემოსავლები ამ მიმართულებით 2012 და 2013 წლებში თითქმის არ გაზრდილა.


[http://www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_681569\\_ANNUAL%20REPORT%202012.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_681569_ANNUAL%20REPORT%202012.pdf)

<sup>11</sup>ITU-D Regional Seminar for Europe, 29-31 January 2014, Budapest The Digital Dividend:

THE challenge for digital TVElena Puigrefagut. European Broadcasting Union [http://www.itu.int/en/ITU-D/Regional-Presence/Europe/Documents/EBU\\_DigitalDividend%20ITU-D%20Seminar%20Budapest\\_2014.pdf](http://www.itu.int/en/ITU-D/Regional-Presence/Europe/Documents/EBU_DigitalDividend%20ITU-D%20Seminar%20Budapest_2014.pdf)

მუხედავად დიდი ბრიტანეთის ბაზრის მაღალტექნოლოგიური განვითარებისა და სამაუწყებლო პროგრამების დისტრიბუციის პლატფორმათა სიმრავლისა, ბრიტანეთის კონკურენციის მარეგულირებელი კომისიის ანგარიშში აღინიშნა, რომ საეთერო მაუწყებლობის პლატფორმა იქნება “ძირითადი ეკონომიკური დამბალანსებელი ფასიანი სატელევიზიო კონტენტის მიმწოდებელი კომპანიების საბაზისო პაკეტებისთვის”.<sup>12</sup>

სატელევიზიო კონტენტის მიღების ალტერნატივების კუთხით საინტერესოა ევროპის მაუწყებელთა ასოციაციის 2013 წლის საშუალო ევროპული მონაცემები:<sup>13</sup>



Source: Eurobarometer 396, August 2013<sup>14</sup>

პლატფორმებს შორის დროულად უზრუნველყოფილი კონკურენცია განაპირობებს ტექნიკური სიახლეების დანერგვის აუცილებლობას ყველა პლატფორმით მაუწყებელი კომპანიებისთვის, ისევე როგორც აიძულებს მათ მოახდინონ დამატებითი სერვისების შეთავაზება მომხმარებლისთვის. ამ პროცესის

<sup>12</sup> "Competition and Market Power in Broadcasting: Where are the Rents?", in *The Economic Regulation of Broadcasting Markets: Evolving Technology and Challenges for Policy*, PAUL SEABRIGHT and JURGEN VON HAGEN (eds.), Cambridge University Press, April 2007, p. 47-80.

<sup>13</sup>38th EPRA meeting, Vilnius, October 2013, The 700 MHz Band, Darko Ratkaj European Broadcasting Union Impact of the UHF spectrum reallocation on TV markets in Europe [http://epra3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/2277/original/Ratkaj\\_EBU\\_EPRAmeetingVilnius\\_October2013.pdf](http://epra3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/2277/original/Ratkaj_EBU_EPRAmeetingVilnius_October2013.pdf)

<sup>14</sup>შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები საშუალო ევროპულია, თუმცა როგორია ქვეყნების მიხედვით პლატფორმების განაწილება შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული იყოს სადენიანი ან თანამგზავრული პლატფორმის სასარგებლოდ.



განხორციელება კი სწორედ ციფრული საეთერო მაუწყებლობის წარმატებით დასრულებაზეა დამოკიდებული.

საქართველოს იმ ტერიტორიების დაფარვის ვალდებულება, რომელიც კომერციულად საინტერესოდ შეიძლება არ იყოს ყველა მაუწყებლისთვის,<sup>15</sup> დაკისრებული აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტის გამავრცელებელ სამაუწყებლო პლატფორმის ოპერატორს შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრს".

როდესაც ვსაუბრობთ ციფრული საეთერო მაუწყებლობის სიკეთეებზე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის სიკეთე, რომელიც ამ პლატფორმას საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის შეიძლება მოიტანოს. პროცესის დაყოვნებით, აღნიშნული საკითხების მოწესრიგება დროში ბევრად უფრო დაყოვნდება.

### 3. საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიპლექს პლატფორმის ინსტალატორი კომპანიის შესარჩევი კონკურსი

განსაკუთრებულ ყურადღებას, ვფიქრობთ, საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელებისთვის საჭირო აპარატურის და მომსახურების შესყიდვისთვის გამოცხადებული კონკურსი იმსახურებს. ამის მიზეზი არა მხოლოდ ტელევიზიის განვითარების და მისი გავრცელების უდიდესი მნიშვნელობაა, არამედ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ სწორედ ამ სამაუწყებლო ქსელმა უნდა შეასრულოს პლატფორმის შიდა და პლატფორმათაშორისი კონკურენციის დამაბალანსებლის როლი, როგორც ყველაზე დიდი დაფარვის მქონე საეთერო მაუწყებლობის ქსელმა.<sup>16</sup> აღნიშნულ პლატფორმით უნდა გავრცელებულიყო კომერციული ეროვნული მაუწყებლის პროგრამები, და დაეზღვია კომერციული მულტიპლექს პლატფორმების დროულად ამოქმედების და კომერციული პროგრამების გავრცელების საკითხი.<sup>17</sup>

<sup>15</sup>შენიშვნა: აღნიშნულის შესახებ მეტნაკლებად სწორ წარმოდგენას შეგვიქმნის რეგიონული მაუწყებლების გეოგრაფია, რომელიც დღეის მდგომარეობით მოიცავს ყველა იმ ძირითად ქალაქს, რომელშიც ამგვარი მოთხოვნა არსებობდა.

<sup>16</sup>Public Service Broadcasting in the Nordic Countries. <http://www.dr.dk/NR/rdonlyres/AE3A5D9B-0C1A-44F6-8B3D-0F4BF3CCB9D8/292036/NordiskPSB1.pdf>  
[http://economy.ge/uploads/departamentebi/kavshirgabmuloba/ministry\\_digital\\_broadcasting\\_switchover\\_action\\_plan\\_and\\_reccomendations\\_2014\\_1.pdf](http://economy.ge/uploads/departamentebi/kavshirgabmuloba/ministry_digital_broadcasting_switchover_action_plan_and_reccomendations_2014_1.pdf)

საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტის მიწოდების ხარისხი და საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების ხარისხიც, უნდა გახდეს ერთგვარი ბენჩმარკი ქართული სამაუწყებლო ბაზრისთვის.<sup>18</sup>

**შესყიდვის განხორციელება უნდა მომხდარიყო შედეგი დროის გრაფიკით:**

ეტაპი/აღწერილობა	დროის მონაკვეთები
შესყიდვის განხორციელების შესახებ ინფორმაციის განთავსება	2014 წლის 16 აპრილი
მონაწილეობის განაცხადის წარდგენის ვადა	2014 წლის 23 აპრილი
მონაწილეების შეკითხვების ვადა	2014 წლის 9 მაისი
მონაწილისათვის შემსყიდველის მიერ პასუხების გაცემის ვადა	2014 წლის 16 მაისი
დახურვის თარიღი	2014 წლის 21 მაისი

### 3.1 შესყიდვის მეთოდოლოგიის შეფასება

ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის აღნიშნული მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისთვის საჭირო სიხშირეები უსასყიდლოდ გადაეცა შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრს"<sup>19</sup> და ამ სახელმწიფო საწარმოს ტრანსლირებასთან დაკავშირებით გარკვეული ვალდებულებები დაეკისრა.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ მიიღო უფლება ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების, ასევე, საერთაშორისო საექსპერტო მომსახურების შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.<sup>20</sup>

<sup>18</sup>the European Union. Western Balkans and Turkey Media and Freedom of Expression Fact-finding and Scoping Study September 2012 – April 2013 FINAL REPORT.

[http://ec.europa.eu/enlargement/pdf/key\\_documents/2013/wbt\\_media\\_study.pdf](http://ec.europa.eu/enlargement/pdf/key_documents/2013/wbt_media_study.pdf)

<sup>19</sup><http://www.tvrcenter.ge/>

<sup>20</sup>შენიშვნა: აღნიშნული ნებართვის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლისმე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ე.წ. საზოგადოებრივი მულტიპლექს პლატფორმის აგების აპარატურის და მომსახურების შეძენის კონკურსის პროცესის შეფასებისას პირველ რიგში კითხვები ჩნდება იმ გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც გაიწერა სახელმწიფო სტრატეგიის დანართებით.

**მიუხედავად დიდი ინტერესისა, ინფორმაციის სიმწირის გამო პროცესის გამჭვირვალობის საკითხები უდავოდ კრიტიკას იმსახურებს.**

მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო შესყიდვა<sup>21</sup> შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" მიერ გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა. კონკურსის მიმდინარეობის პროცესში არ იყვნენ ჩართული როგორც მაუწყებლები და საქსელო პროვაიდერები, ასევე არასამთავრობო სექტორის ის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სტრატეგიის შემუშავების და საკითხის ადვოკატირების პროცესში.

მიუხედავად IDFI-ის არაერთი მცდელობისა მიეღო ინფორმაცია პროცესთან დაკავშირებით, შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრიდან" ინფორმაციის მიღება ვერ მოახერხდა<sup>22</sup> ინფორმაციის ნაკლებობის გამო სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესრულების მონიტორინგი საკმაოდ გართულდა სწორედ საკონკურსო ეტაპზე.

აღნიშნული შესყიდვის მეთოდი, ელექტრონულ ტენდერთან შედარებით, ნაკლებად გამჭვირვალეა. შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრმა" შესყიდვა დადგენილ დროის შუალედებში ვერ მოახერხა, ისევე როგორც ვერ უზრუნველყო საკონკურსო სატენდერო კომისიის მუშაობის, წარდგენილი საკონკურსო პირობების, დასმული შეკითხვების და სხვა საკითხების გამჭვირვალობა, რაც სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული შესყიდვის სისტემით შეძენის შემთხვევაში სრულად ღია იქნებოდა.

როგორც დაგვანახა განვითარებულმა მოვლენებმა, პროცესი ვერ დასრულდა ნახევარი წლის განმავლობაში. ყველა პროცედურა, რომელიც გაიარა საკონკურსოდ წარდგენილმა წინადადებებმა სამწუხაროდ დახურული იყო. ეს დრო კი სრულიად საკმარისი იქნებოდა ღია და გამჭვირვალე ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად.

---

<sup>22</sup>2014 წლის 23 ივნისის, N062614 წერილით, IDFI-მ განცხადებით მიმართა შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრს", თუმცა არანაირი პასუხი ამ წერილზე ორგანიზაციას არ მიუღია.

### 3.2 შერჩეულ კანდიდატთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობების შეფასება

2014 წლის 24 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან - "ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის სრულად განხორციელების შესახებ". მხარეებს წარმოადგენენ შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი" და შპს "გ და თ სერვისი". ხელშეკრულება ერთიან ელექტრონულ შესყიდვების სისტემაში (procurement.gov.ge [CMR140126515](#)) განთავსდა 2104 წლის 28 ივლისს.<sup>23</sup>

ამ ხელშეკრულებიდან აღსანიშნავია შემდეგი პუნქტები:

- ✓ ხელშეკრულების 2.3 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული იყო 10 წლიანი პერიოდი მარაგაწილების და ტექნიკური მომსახურების მიწოდებისთვის. ამ მოწყობილობების ფასი ასახული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების შესაბამის დანართში.
- ✓ ხელშეკრულების 3.3. მუხლის შესაბამისად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ვადად განისაზღვრა 2105 წლის 31 აგვისტო.
- ✓ შემსყიდველი მიერ ვალდებულებად განისაზღვრა მხოლოდ გამოცდილი კადრებით სამუშაოს შესრულება.
- ✓ კონტრაქტის ფასი განისაზღვრა 5 704 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, ხელშეკრულების 6.1 მუხლის შესაბამისად.
- ✓ ხელშეკრულების 7.2 მუხლის შესაბამისად მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მისი ვალდებულების შესრულების საბანკო გარანტია, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- ✓ ხელშეკრულების 10.1.3 მუხლის შესაბამისად შემსყიდველი მიმწოდებლისგან იღებს ყოველთვიურ ანგარიშს შემდეგ საკითხებზე:
  - გასული პერიოდის შედეგები;
  - გრაფიკიდან გადახრის შესახებ ინფორმაცია და მისი გამოსწორებისთვის დასახული ღონისძიებები;
  - ინფორმაცია საჭირო მისაწოდებელი რესურსების შესახებ და მონაცემები სხვა აქტიური საკითხების შესახებ.

<sup>23</sup><https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge>

- ✓ სისტემაში დეფექტების და გაუმართაობების აღმოჩენის შემთხვევაში კონტრაქტი ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს გადახდას.
- ✓ საგარანტიო პერიოდი განისაზღვრა აქტიური რადიო მოწყობილობებისთვის 60 თვიანი პერიოდით მისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი მოწყობილობებისთვის 12 თვიანი პერიოდი იქნა განსაზღვრული, ხელშეკრულების 13.1.3 მუხლის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული გვერდზე მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილი გამარჯვებულ კომპანია "გ და თ სერვის"-სთან 2014 წლის 24 ივლისს გაფორმებული კონტრაქტი 30 ივლისს მოიშალა.<sup>24</sup>

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" 2014 წლის 11 აგვისტოს N10/317 წერილში, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად მითითებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საბანკო გარანტიის მიუწოდებლობა. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ასევე წარმოდგენილია აღნიშნული წერილის საფუძველი - 2014 წლის 8 აგვისტოს ოქმი, რომელსაც ხელ აწერენ ორგანიზაციის თანამშრომლები (შესყიდვების კომისიის წევრები).

**აღნიშნული შესყიდვის შეფასებისას არსებული მონაცემების ფარგლებში, აქცენტი გვინდა გავაკეთოთ რამდენიმე საკითხზე:**

**ა) სახელმწიფო შესყიდვის მეთოდის შერჩევა**

დროის სიმცირის გამო შერჩეული სახელმწიფო შესყიდვის მეთოდი არ უნდა გამოყენებულიყო პროცესის დახურვისთვის. ფაქტობრივად, შესყიდვის პროცესზე დახარჯული დროის შუალედი სრულიად საკმარისი იყო ელექტრონული ტენდერის გასამართად. შესყიდვის ბიუჯეტი და შესყიდვის პროცესზე დახარჯული რესურსი საკმარისი უნდა ყოფილიყო ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად.

**ბ) სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტის შეწყვეტის საფუძვლები**

---

<sup>24</sup>შენიშვნა: შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" წერილი, ხელშეკრულების მოშლის შესახებ დათარიღებულია 2014 წლის 11 აგვისტოთი.

2014 წლის 11 აგვისტოს შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრმა", N10/317 წერილით შეწყვიტა ხელშეკრულება კონტრაქტორთან. შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ხელშეკრულების 18.2 მუხლი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლი. ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზად განსაზღვრულია 10 დღიან ვადაში (6 აგვისტომდე) საავანსო გადახდის გარანტიის წარუდგენლობა. დამატებითი ვადის განსაზღვრა არ მოხდა.

კონტრაქტის მოშლის საფუძვლად მითითებულია ე.წ. კონტრაქტის დეფოლტის პუნქტი (18.2 მუხლი). დეფოლტის ქვეშ განმარტებულია მიმწოდებლის გადახდისუუნარობა, ან გაკოტრება, ასევე სხვა მიზეზები ორგანიზაციის დაშლის და ა.შ. შესახებ, ასევე ნაკისრი ვალდებულებების სხვა კომპანიისთვის გადაცემის შემთხვევაში, ან თუ გამოვლინდება, რომ მიმწოდებელი ჩართულია კორუფციულ ან თაღლითურ სქემაში. კონტრაქტის შესაბამისად შემსყიდველი უფლებამოსილია 30 დღიანი ვადის დაცვით ნებისმერი მიზეზით (18.1 მუხლი) მოშალოს ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვის მნიშვნელობის და დამატებითი შერჩევის პროცედურების სირთულიდან გამომდინარე, ჩვენთვის ასევე გაურკვეველია რატომ არ მოხდა დამატებითი ვადის დაწესება ხელშეკრულების მეორე მხარისთვის. საკითხის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, **საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს არსებით გარემოებად იმ კონტრაქტის მოსაშლელად, რომლის შესარჩევად რამდენიმე თვე დაიხარჯა.** მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით შემსყიდველი უფლებამოსილი იყო, მისი წერილით დაეწესებინა მინიმალური დამატებითი ვადა, რომლის უშედეგოდ გასვლის შემდგომ ლოგიკური იქნებოდა გაფორმებული კონტრაქტის მოშლა.

### გ) პროექტის მთლიანი ღირებულება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების შესაბამისად, „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაზუსტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ხელშეკრულების მოქმედების სავარაუდო ვადა, ფასების არსებული დონე, მსგავსი შესყიდვების განხორციელების გამოცდილება.

#### დ) შპს "ვეზირთან" სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების არ არსებობა

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" შესყიდვების კომისიის 2014 წლის 8 აგვისტოს ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ ორგანიზაციის თანამშრომლები (შესყიდვების კომისიის წევრები), კომპანიის დირექტორს მიეცა რეკომენდაცია, რომ დაეწყო მოლაპარაკება შემდგომ პრეტენდენტთან - შპს"ვეზირთან". 2014 წლის 16 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული შპს "ვეზირთან" გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვაზე. პრობლემაა ის გარემოება, რომ მიუხედავად ხელშეკრულების მოშლისა, 30 აგვისტოდან გასულია თვეზე მეტი და კვლავ არ არის გაფორმებული ხელშეკრულება შპს "ვეზირთან". პროცესი გადაიდო გაურკვეველი პერიოდით, პროცესი კვლავ დახურულია დაინტერესებული პირებისთვის და არსებული მდგომარეობა კვლავ უცნობია.

#### 4. ეროვნული დაფარვის კომერციული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის კონკურსი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით შემოთავაზებული სიხშირეები სლოტებიდან გასხვისდა მხოლოდ B+2 (C და D) სიხშირეების კომბინაცია. A სიხშირულ ლოტზე წარდგენილი განაცხადები კონკურსანტებმა უკან გაითხოვეს. იმ შემთხვევაში, თუ ორივე MUX A და MUX B ლიცენზიები უფასოდ ტრანსლირების უფლებით მოხდებოდა ერთი კონკურსანტის ხელში, მოხდებოდა ციფრული საეთერო მულტიპლექს პლატფორმის მონოპოლიზაცია, რაც გაზრდიდა რისკებს ქართული მედიაბაზრის დამოუკიდებლობის და ამ ბაზარზე შემოსვლისათვის დამატებით ბარიერებს წარმოქმნისთვის.<sup>25</sup>

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით ციფრული მიწისზედა და სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული გახდა "სტერეო +".<sup>26</sup> გამარჯვებულმა კომპანიამ " N°MUX-B, N°MUX-D და N°MUX-E ლიცენზიები მოიპოვა. MUX – C და MUX – D ლიცენზიების ფარგლებში კი, კომპანია სამაუწყებლო სიგნალის გავრცელებას შეძლებს როგორც ღია ეთერით,

<sup>25</sup><https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/DTT-16%2006%2014.pdf>

<sup>26</sup>[http://gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=7070&info\\_id=115589](http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=115589)

ასევე დახურული ე.წ კოდირებული ფორმატით კომერციული მიზნებისთვის (Pay TV).

ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ რესურსთან საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო განაცხადით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება.

მაუწყებელთა მხრიდან ღია საეთერო ქსელში დაშვების მოთხოვნის არ არსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილი იქნება, გამოიყენოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებული თავისუფალი რესურსი მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მისაწოდებლად, თუმცა მოცემული გულისხმობს, რომ მიუხედავად ამგვარი უფლებამოსილებისა ლიცენზიის მფლობელი, მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული იქნება უპირობოდ უზრუნველყოს მსურველი მაუწყებლის ქსელში დაშვება და ღია ეთერით გავრცელება.

## 5. სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" აქტივობები და არსებული პრობლემები

პრობლემები არსებობს ორივე, როგორც მიწოდების ასევე მომხმარებლის მხარეს. მომხმარებლის მხარეს აქტივობები ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს დებულებით განსაზღვრულია შემდეგი მიზნები:<sup>27</sup>

- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამუშაოთა კოორდინაცია;
  - სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდიებით ოპტიმალურად უზრუნველყოფა;
  - ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა
- საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობისათვის შესაბამისი დახმარების ოპერატიულად აღმოჩენა.

სააგენტოს ფუნქციებად განისაზღვრა ამ ამოცანების შესასრულებლად:

- ა) საზოგადოების ინფორმირების პრიორიტეტების განსაზღვრა, დაგეგმვა და განხორციელება;

<sup>27</sup> [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2244324&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2244324&lang=ge)



- ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში, პროცესის ტექნიკური და ინფორმაციული დაგეგმვა და უზრუნველყოფა;
- გ) შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ასაგებად საჭირო სამუშაოები კოორდინირება და კონტროლი, მათ შორი სამუშაოების ეფექტურად წარმართვისათვის შესაბამის ტექნიკური ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის სიგნალის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობის შესყიდვის პროცესის ტექნიკური საკითხების კოორდინირება და შესყიდვის პროცესის განხორციელება;
- ე) ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამუშაოთა წარმართვისათვის საფინანსო და ტექნიკური დახმარების მოზიდვის მიზნით საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;
- ვ) ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის სიგნალის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობის დარიგების და მონტაჟის პროცესის დაგეგმვა და განხორციელების კონტროლი.

## 5.1 მოსახლეობის ინფორმირებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა

სტრატეგიის შესაბამისად საინფორმაციო უზრუნველყოფის ღონისძიებებად განსაზღვრულია 24/7 მულტიენოვანი საინფორმაციო ცხელი ხაზის ამოქმედება, სპეციალური საინფორმაციო ვებ-გვერდის ([www.digitaltv.ge](http://www.digitaltv.ge)) შექმნა, სადაც განთავსდება შესაბამისი ინფორმაცია ბოლო მომხმარებლისთვის.

გაციფრულების სტრატეგიის შესაბამისად ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის სისტემატურად მიწოდება იმ სავაჭრო ობიექტების შესახებ, რომლებიც აწარმოებენ სერტიფიცირებული „სეთ-ტოპ-ბოქსების“ რეალიზაციას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო სახის სოციალური რეკლამებისა და კლიპების დამზადება და განთავსება შესაბამის საკომუნიკაციო არხებზე.

## 5.2 ეროვნული დაფარვის კომერციული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის კონკურსი

"ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" მიერ განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები საინფორმაციო ბუკლეტების შედგენა და შესაბამის საცალო სავაჭრო ობიექტებში დისტრიბუცია. დაგეგმილია ასევე სპეციალური სატრენინგო სესიების ჩატარება ჟურნალისტებისა და დაინტერესებული პირებისათვის.

ამ ეტაპისთვის პრობლემას წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების ჩართულობის დაბალი დონე, როგორებიც არიან აპარატურის იმპორტიორები და საცალო მოვაჭრეები, რომლებიც აქტიურდ უნდა იყვნენ ჩართული აპარატურის შეკვეთის და მისი დარიგების პროცესში.

როდესაც მომხმარებელი გააკეთებს არჩევანს სხვადასხვა ტექნოლოგიურ პლატფორმას შორის, კერძოდ, მომსახურება მიიღოს კაბელით, სახურავის ანტენით თუ თანამგზავრის თეფშით, მისი გადაწყვეტილება კონტენტის რაოდენობის და ხარისხის, მომსახურების ფასის გარდა განპირობებული იქნება პროგრამების ელექტრონული გზამკვლევის გამოყენების სიმარტივითაც. ეს საკითხი ამ ეტაპზე სახელმწიფო სტრატეგიის მიღმა დარჩა. მიგვაჩნია, რომ იმ მოსახლეობის ტექნოლოგიური ჩვევები არ არის საკმარისი, რომ დახმარების გარეშე მოახდინონ საკუთარი ტელევიზორების ან სეთ-ტოპ-ბოქსების მომართვა ციფრული სიგნალის მისაღებად.

### 5.3 სეთ-ტოპ-ბოქსების შესარჩევი კონკურსის შედეგები

რისივერების შესყიდვის პროცედურები სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ" გამარტივებული შესყიდვის მეთოდის გამოყენებით უნდა განახორციელოს.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიაში გაწერილია შესაბამისი ვადები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის განკუთვნილი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სიგნალის მიმღები აპარატურის, ე.წ. "სეთ-ტოპ-ბოქსების" გამარტივებული შესყიდვისათვის. ტელევიზორები, რომელსაც ციფრული სიგნალის მიღების მხარდაჭერა არ აქვს, გამოსახულებას სპეციალური რისივერების გარეშე ვერ მიიღებს, სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტო"-მ 2015 წლის 17 ივნისამდე უნდა მოასწროს 70 000 და მასზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის Set top box-ებით უზრუნველყოფა, რათა მათ ტელევიზორის ყურება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგაც შეძლონ.

სააგენტომ გამარტივებული შესყიდვა მთავრობის 8 მაისის განკარგულების შესაბამისად დაიწყო. გეგმის მიხედვით, აქტივობების ვადები გაწერილია შემდეგნაირად:

- "სეთ-ტოპ-ბოქსების" მომწოდებლებს წინადადებები 2014 წლის 14 მაისამდე უნდა წარედგინათ.

- დაინტერესებული მიმწოდებლებისათვის გამარტივებულ შესყიდვაში მონაწილეობის განცხადების წარდგენის საბოლოო თარიღად 2014 წლის 5 ივნისი განისაზღვრა. შესყიდვის დოკუმენტაციის თანახმად, მეორე ტურში გადასულ კომპანიათა ვინაობა ჯერკიდევ 12 ივნისს უნდა გასაჯაროვებულიყო. გეგმის შესაბამისად რისივერების კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება 2014 წლის 1 სექტემბრამდე უნდა გაფორმებულიყო, სოციალურად დაუცველებისთვის ამ მოწყობილობების დარიგების ბოლო ვადად 2015 წლის 30 ივნისი განისაზღვრა.

ტექნიკური პირობები გამოქვეყნებული იყო საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე.

EBRD-ის ექსპერტთან ტაუნო აიალასთან 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში გამართული შეხვედრის შედეგად მიღებული ინფორმაციით, შერჩეული რამდენიმე კომპანიის რისივერი გადაგზავნილი იყო შესაბამის ლაბორატორიაში ტესტირებისთვის, თუმცა მიუხედავად რამდენიმე მიმწოდებლის და რისივერების დიდი არჩევანისა, ტესტირება ვერცერთმა მოწყობილობამ ვერ გაიარა.

2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში კონტრაქტი ატვირთული არ არის.<sup>28</sup> აღსანიშნავია, რომ შერჩევის პროცედურები გაუმჭვირვალედ მიმდინარეობდა, მიუხედავად ამ საკითხის მიმართ საზოგადოების დიდი ინტერესისა.

## 6. ეროვნული დაფარვის კომერციული მულტიპლექს პლატფორმის აგების მდგომარეობა

შპს "სტერეო+" ფლობს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX-B, №MUX-D და №MUX-E ლიცენზიებს. 2015 წლის 17 ივნისიდან „სტერეო +“ უზრუნველყოფს ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში №MUX-B და №MUX-D ლიცენზიებით მაუწყებლების სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით გავრცელებას, ხოლო №MUX-E ლიცენზია გამოყენებული იქნება კოდირებული, Pay TV მაუწყებლობისთვის.<sup>29</sup>

<sup>28</sup> ინფორმაცია არ იყო ატვირთული 2014 წლის 14 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ გვერდზე [procurement.gov.ge](http://procurement.gov.ge)

<sup>29</sup><http://stereoplus.ge/index.php/ge/2014-07-23-07-43-06/2014-07-24-10-14-41>

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის შპს "სტერეო+"-ის საქმიანობის და მის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგის პირველი ეტაპი 2014 წლის 1 ნოემბერს იწყება.<sup>30</sup>

შპს "სტერეო+" -ს მინიჭებული აქვს ლიცენზია შემდეგი პირობების<sup>31</sup> შესაბამისად MUX B-ს ნაწილში ძირითადი სადგურებისა და შესაბამისი საანტენო აპარატურის მონტაჟისთვის განსაზღვრული პერიოდი 2014 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის მაისის შუა რიცხვებამდე. ქსელის აღნიშნული ნაწილის განთავსებისთვის განსაზღვრული შესაბამისი 42 წერტილი.<sup>32</sup> 2015 წლის ბოლოს, წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად უნდა დასრულდეს ქსელის აგება. სატესტო გადამცემების ჩართვა შესაძლებელია დაიწყოს 2015 წლიდან იმ რეგიონებში, სადაც დასრულდება ქსელის აგება და ტესტირება. რაც შეეხება გადამცემ სადგურის და სათაო სადგურს, კომპანიის ინტერნეტ გვერდის მონაცემების შესაბამისად აღნიშნული აპარატურის შეძენა უნდა დასრულდეს 2014 წლის ბოლომდე.

შპს "სტერეო+"-სთვის გადაცემული MUXD-ს ლიცენზიის აგებისთვის კომპანიის საიტის მონაცემების მიხედვით განსაზღვრულია 2015 წელი, ხოლო ბოლო ვადაა 2016 წლის 1 იანვარი.<sup>33</sup> ანალოგიური მდგომარეობა MUX E-ს მიმართულებითაც.<sup>34</sup>

2014 წლის 20 სექტემბერს, ბათუმში ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მიერ ორგანიზებულ მედია კონფერენციაზე,<sup>35</sup> კომპანია "სტერეო+"-ის წარმომადგენელმა წარმოადგინა ის ტექნიკური გადაწყვეტები და პერსპექტივები, რომელიც შეეხება ეროვნული დაფარვის საეთერო მაუწყებლობის ციფრულ პლატფორმის აგების საკითხებს. მისივე განცხადების შესაბამისად, მიუხედავად რიგი დაბრკოლებებისა, გეგმის რეალიზაცია დადგენილ დროის გრაფიკში დასრულდება და ახალ პლატფორმას ექნება შესაძლებლობა 2015 წლის ივნისიდან გაავრცელოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები, იმ შემთხვევაში თუ დროულად ვერ მოესწრება საზოგადოებრივი მაუწყებლობის ტრანსლირებისთვის განკუთვნილი ციფრული საეთერო მაუწყებლობის პლატფორმის მშენებლობა.

---

<sup>30</sup>შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების გეგმა. დანართი N2 [gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=7070&info\\_id=115633](http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=115633)<http://gncc.ge/index.php?>

<sup>31</sup>[http://gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=7070&info\\_id=115633](http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=115633)

<sup>32</sup><http://stereoplus.ge/doc/B1.pdf>

<sup>33</sup><http://stereoplus.ge/doc/D1.pdf>

<sup>34</sup><http://stereoplus.ge/doc/E1.pdf>

<sup>35</sup><https://idfi.ge/ge/representatives-of-idfi-at-batumi-media-conference>

## 7. რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების მდგომარეობა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2014 წლის 7 თებერვალს დამტკიცებული ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლის მიერ 2014 წლის მაისის ბოლომდე შესაბამისი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყო ღია კონკურსის გარეშე, უსასყიდლოდ, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის ამგვარი მაუწყებლისათვის მინიჭება. თუმცა დროის სიმცირის გამო, ვერ მოხდა რეგიონული მაუწყებლებისათვის ადგილობრივი საეთერო ციფრული მულტიპლექს პლატფორმებისათვის გამოყოფილი სიხშირეების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ასევე სხვა საჭირო ინფორმაციის გაცვლა მაუწყებლებისა და მარეგულირებელ კომისიას შორის. სწორედ ამიტომ, IDFI-ს რეკომენდაციით, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სიხშირეების მინიჭების ვადა გადასწია.

ასევე, IDFI -ს ექსპერტთა რეკომენდაციით, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რეგიონულ მაუწყებლებს ეკონომიკის სამინისტროს სტრატეგიით განსაზღვრული VHF III დიაპაზონში ხელმისაწვდომი სიხშირეების გარდა რეგიონულ არხებს UHF დიაპაზონის რესურსის ალტერნატივაც შესთავაზა, თუმცა რეგიონულ დონეზე, რამდენიმე არხის გაერთიანების პირობით. კონკრეტულად კი კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარმოადგინა UHF დიაპაზონში 9 რეგიონული მულტიპლექსის აგების შესაძლებლობის პროექტი, რომლის თანახმად აუცილებელი ხდებოდა ერთ გეოგრაფიულ რეგიონში არსებული არხების შეთანხმება, რაც საბოლოო ჯამში არც ერთი რეგიონული მაუწყებლისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. რეგიონულმა ტელევიზიებმა აღნიშნულ შეთავაზებას უპასუხეს ერთობლივი წერილით, რომლითაც ეროვნულ კომისიას სიხშირეების არსებული ანალოგური ზონების მიხედვით მინიჭებას სთხოვდნენ, ისე, როგორც ეს სტრატეგიაში იყო განსაზღვრული. თუმცა, ამავდროულად, არხების ნაწილი უკვე არა VHF არამედ UHF დიაპაზონს ითხოვდა. საკითხზე მსჯელობა დროში გახანგრძლივდა, რაც სულ უფრო აგვიანებს რეგიონული არხებისთვის სიხშირის მინიჭების გადაწყვეტილებას. აღნიშნულმა კი შესაძლოა არსებითად შეაფერხოს რეგიონული არხების მიგრაცია ციფრულ პრაქტიკაზე.

სიხშირისა და სიმძლავრეების ვერ განსაზღვრის გამო დღემდე ვერ ხერხდება რეგიონული არხების მიერ მოსამზადებელი სამუშაოების პრაქტიკულად დაწყება.

კვლავ ძალაში რჩება რეგიონული არხებისთვის სიხშირული რესურსის მინიჭების შემდეგი წინაპირობა:

- თუ ერთი და იგივე ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთი ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, კომისია განაცხადის წარდგენის შემდგომ უზრუნველყოფს ღია კონკურსის გარეშე, უსასყიდლოდ, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის ამგვარი მაუწყებლისათვის მინიჭებას.
- თუ ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთზე მეტი ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, რომელთაც სურვილი აქვთ უზრუნველყონ ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება, კომისია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას უსასყიდლოდ და ღია კონკურსის გარეშე მინიჭებს არსებულ ადგილობრივ საეთერო მაუწყებელთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემთხვევაში.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით,<sup>36</sup> ამგვარი ადგილობრივ ზონად განისაზღვრა 26 ზონა: ბათუმი, ოზურგეთი, თბილისი, ზესტაფონი, სამტრედია, საჩხერე, ქუთაისი, ჭიათურა, ხონი, გურჯაანი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ახალციხე, ბორჯომი, ბოლნისი, მანგლისი, მარნეული, რუსთავი, გორი ხაშური.

26 პირობითი გეოგრაფიული ზონიდან, მხოლოდ 5 ზონაში არის ერთზე მეტი მაუწყებელი. კონსორციუმის მიერ განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს შემდეგ ქალაქებში:

1. ბათუმი: შპს "ტელეარხი 25", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა)
2. თბილისი: შპს "იბერია", შპს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", შპს "სტუდია

<sup>36</sup> [http://www.gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=50712&info\\_id=115453](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115453) უკანასკნელი ნახვა 14 ივნისი

მაესტრო", შპს ტელეკომპანია "კავკასია", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა), შპს "ტელეკომპანია პიკ", შპს "ჯი-დი-ეს თი-ვი", შპს „ტელეკომპანია ობიექტივი 2“, შპს ტელეკომპანია „თბილისი“;

3. ქუთაისი: შპს ტელერადიოკომპანია "რიონი", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი" (ტაბულა);
4. სენაკი: შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია "ეგრისი", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა);
5. გორი: შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთი", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა).

ჩამოთვლილთაგან, 4 ზონაში ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა“ ღიად გამოთქვა რეგიონული მულტიპლექსების ფორმირებაში მონაწილეობაზე უარი. რაც ავტომატურად ნიშნავს შესაბამის ზონებში არსებული მეორე კომპანიებისთვის სიხშირის უკონკურსოდ მინიჭებას. საყურადღებოა, რომ ამ და სხვა ზონებში არსებულმა მაუწყებლებმა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ოფიციალურად, წერილობით დაუდასტურეს რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების აგების საკითხით დაინტერესება.

კონკურსის აუცილებლობა იკვეთება თბილისის ადგილობრივ მულტიპლექსზე, სადაც არსებულმა მაუწყებლებმა შეთანხმება ამ დროისთვის ვერ შეძლეს.

კვლავ ღიად და პრობლემად რჩება რეგიონებში ჩრდილოვანი ზონების დაფარვის საკითხი, საანძო ინფრასტრუქტურის თემა, აუდიტორიის მომზადება და სხვა, შესაბამისად კვლავ დღის წესრიგშია ის რეკომენდაციები, რომელიც გამოთქმულია IDFI -ს მიერ 2014 წლის 24 ივლისს გამოქვეყნებულ კვლევაში: „ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების მიგრაცია ციფრულ საეთერო პლატფორმაზე“<sup>37</sup>. ასევე არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაითვალისწინოს, რომ რეგიონული მულტიპლექსების ფორმირებაზე არსებითი გავლენა შესაძლოა იქონიოს A ეროვნული მულტიპლექს პლატფორმის გამართვამ და მასზე დაშვების პირობებმა. ამიტომ აღნიშნულ A ლოტზე განმეორებითი ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში კონკურსანტებს, საკონკურსო პირობების წარდგენის ეტაპზე, ვალდებულება აიღოს, გამოაქვეყნონ ადგილობრივი სამაუწყებლო ქვეზონებისთვის სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ტარიფი.

<sup>37</sup> <https://idfi.ge/ge/migration-of-local-broadcasters-to-digital-transmission-platform>

## 8. დასკვნა და ორგანიზაციის რეკომენდაციები

არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქტივობების გამჭვირვალობის კუთხით მდგომარეობა არასახარბიელოა. ის პრაქტიკა, რომელიც დანერგა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გაციფრულების სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე ჩართულობის და გამჭვირვალობის კუთხით გამოყენებული უნდა იყოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მიმდინარე ეტაპზეც.

რეკომენდაციები:

- მოხდეს პირდაპირი შესყიდვის მეთოდით წარმოებული შესყიდვების საკონკურსო ეტაპების წარმოების ამსახველი, შეფასების დროს არსებული დოკუმენტაცია და სხვა დაკავშირებული ინფორმაცია შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის", ასევე სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" მიერ;
- გასაჯაროვდეს მომხმარებლებისთვის დაგეგმილი საინფორმაციო უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმა და სტრატეგია;
- შეიქმნას ე.წ. გაციფრულების შტაბი, რომელშიც მონაწილეობას მიღებენ გარდა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისა, კომერციული სფეროს წარმომადგენლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- გასაჯაროვდეს ინფორმაცია ე.წ. ქოლცენტრის შექმნის და ოპერირების შესახებ;
- განისაზღვროს მომხმარებელთა დახმარების ცენტრის თანამშრომლების ტრენინგის და საქმიანობის პროცედურების დეტალური გაწერა, ონლაინ კონსულტაციის უზრუნველყოფის სტრატეგია;
- მომზადდეს ყოველთვიური ანგარიშები სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" დაინტერესებული მხარებისთვის, ისევე როგორც მთავრობისთვის და ფართო საზოგადოებისთვის წარმოსადგენად;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან" ერთად შემუშავდეს რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლებისთვის გაცემული ანალოგური მაუწყებლობის ლიცენზიების გამოუყენებელი პერიოდის თანხების



დაანგარიშების და დაბრუნების საკითხი, ფინანსთა სამინისტროში წარსადგენად.

- კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, იმ ზონებში, სადაც არ იკვეთება კონკურსის ჩატარების აუცილებლობა, დროულად დაასრულოს რეგიონული არხებისთვის ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ასაგებად საჭირო სიხშირეების მინიჭების პროცესი, ამასთან სასურველია არხებს, რომლებიც გამოთქვამენ თანხმობას, თავისუფალი სიხშირული რესურსის არსებობის შემთხვევაში მიენიჭოს დეციმეტრული (UHF) დიაპაზონის სიხშირეებიც პარალელურად განსაზღვროს სიმპლავრეებიც და სხვა აუცილებელი სალიცენზიო პარამეტრებიც დაინტერესებული პირების ინტერესების გათვალისწინებით.